

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**

**„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების
ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/02/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016001) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი 11-ით დამტკიცებული „ნაფიცი მსაჯულის (მსაჯულობის კანდიდატის) დღიური, სამგზავრო და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურების წესის“ მე-4 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ნაფიცი მსაჯულისა და მსაჯულობის კანდიდატის საქმის განმხილველი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მაგრამ შესაბამისად, დასავლეთ ან აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში მგზავრობის შემთხვევაში, სამგზავრო ხარჯი ანაზღაურდება 25 ლარის ოდენობით, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“;

ბ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:

„5¹. ნაფიცი მსაჯულისა და მსაჯულობის კანდიდატის დასავლეთ ან აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მგზავრობის შემთხვევაში, სამგზავრო ხარჯი ანაზღაურდება 50 ლარის ოდენობით.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე

პროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირი უფლებამოსილია ნაფიც მსაჯულად მიიღოს მონაწილეობა პროცესში, თუ ცხოვრობს აღმოსავლეთ ან დასავლეთ საქართველოში - იმის შესაბამისად, თუ საქართველოს რომელ ნაწილში მდებარე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში იმართება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატა სიის შედგენა ხორციელდება შესაბამისი სასამართლოსათვის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გადაგზავნილი მოქალაქეთა ერთიანი სიიდან, სადაც დაფიქსირებულია კანდიდატთა რეგისტრაციის მისამართი. პრაქტიკაში გამოვლენილი შემთხვევები ცხადყოფს, რომ შესაძლებელია, პირის რეგისტრაციის მისამართი არ ემთხვეოდეს მის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს ან პირი შესაძლოა, დროებით არ იმყოფებოდეს მის საცხოვრებელ ადგილას. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართ 11-ით დამტკიცებულ „ნაფიცი მსაჯულის (მსაჯულობის კანდიდატის) დღიური, სამგზავრო და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურების წესის“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნაფიცი მსაჯულისა და მსაჯულობის კანდიდატის საქმის განმხილველი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მგზავრობის შემთხვევაში, სამგზავრო ხარჯი ანაზღაურდება 25 ლარის ოდენობით. აღნიშნული ნორმით დაწესებული თანხის ოდენობა შესაძლოა არასაკმარისი აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში, როდესაც პირის რეგისტრაციის მისამართი განეკუთვნება აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო მისი ფაქტობრივი მისამართი - დასავლეთ საქართველოს ან პირიქით, აგრეთვე, როდესაც პირი დროებით არ იმყოფება შესაბამისად, აღმოსავლეთ ან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

პროექტით ცვლილება ხორციელდება ზემოაღნიშნული წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტში და ხდება დაკონკრეტება იმისა, რომ 25 ლარის ოდენობით სამგზავრო ხარჯის ანაზღაურება ეხება ნაფიცი მსაჯულისა და მსაჯულობის კანდიდატის საქმის განმხილველი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მაგრამ შესაბამისად, აღმოსავლეთ ან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში მგზავრობის შემთხვევებს. ამასთან, ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, მე-5 პუნქტის შემდეგ ემატება 5¹ პუნქტი, რომლის თანახმად, ნაფიცი მსაჯულისა და მსაჯულობის კანდიდატის დასავლეთ ან აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მგზავრობის შემთხვევაში, სამგზავრო ხარჯი ანაზღაურდება 50 ლარის ოდენობით.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგები გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას და გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, სახელმწიფოსთვის არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს. ნაფიც მსაჯულთა (მსაჯულობის კანდიდატთა) მგზავრობის გაზრდილი ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება საერთო სასამართლოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.